ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**g-97. 97252182**
თარიღი:**06/08/2025**

წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩასატარებლად საჭირო შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. 2025 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) უზრუნველყოფის მიზნით განისაზღვროს საჭირო შენობა-ნაგებობების ნუსხა:

ა) დ. ლენტეხის N1 საარჩევნო უბანი - ჯ. მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრის შენობა და მჟავე წყლის მიმდებარე ტერიტორია;

ბ) გულიდის N2 საარჩევნო უბანი - სოფელ გულიდის სასოფლო კლუბი;

გ) რცხმელურის N3 საარჩევნო უბანი - სოფელ რცხმელურის სასოფლო კლუბი;

დ) ყვედრეშის N4 საარჩევნო უბანი - სოფელ ყვედრეშის სასოფლო კლუბი;

ე) ხოფურის N5 საარჩევნო უბანი - სოფელ ხოფურის სასოფლო კლუბი;

ვ) ნანარის N6 საარჩევნო უბანი - სოფელ ნანარის სასოფლო კლუბი;

ზ) ხელედის N7 საარჩევნო უბანი - სოფელ ხელედის კულტურის ცენტრი;

თ) ბავარის N8 საარჩევნო უბანი - სოფლის ცენტრი;

ი) საყდარის N10 საარჩევნო უბანი - სოფელ საყდარის სასოფლო კლუბი;

კ) ფანაგის N11 საარჩევნო უბანი - სოფელ ფანაგის სასოფლო კლუბი;

ლ) ჟახუნდერის N12 საარჩევნო უბანი - სოფელ ჟახუნდერის სასოფლო კლუბი;

მ) სასაშის N13 საარჩევნო უბანი - სოფელ სასაშის სასოფლო კლუბი;

ნ) ჩიხარეშის N14 საარჩევნო უბანი - სოფელ ჩიხარეშის სასოფლო კლუბი;

ო) მელეს N15 საარჩევნო უბანი - სოფელ მელეს სასოფლო კლუბი;

პ) ცანა-ზესხოს N16 საარჩევნო უბანი - სოფელ ზესხოში სოფლის ცენტრი;

ჟ) ბაბილის N17 საარჩევნო უბანი - სოფლის ცენტრი;

რ) ლესემის N18 საარჩევნო უბანი - სოფელ ლესემის ყოფილი სკოლის შენობა;

ს) ნაცულის N19 საარჩევნო უბანი - სოფელ ნაცულში სკოლის შენობა;

ტ) შკედის N20 საარჩევნო უბანი - - სოფელ შკედის საბავშვო ბაღი ;

უ) გვიმბრალის N21 საარჩევნო უბანი - სოფლის ცენტრი;

ფ) წანაშის N22 საარჩევნო უბანი - სოფლის ცენტრი;

ქ) მებეცის N23 საარჩევნო უბანი - სოფელ მებეცის დაწყებითი სკოლის შენობა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,, წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩასატარებლად საჭირო შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს N- გ-97-97242431 განკარგულება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს N46-ე ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მიღებიდან ერთი თვის ვადაში ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართი: დაბა ლენტეხი დ. აღმაშენებლის ქ N7).

5. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი